საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/51

ქ. ბათუმი 16 აპრილი, 2018 წ.

ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის **საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24–ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურის და სპორტის სამსახურის 2018 წლის 10 აპრილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაცია და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობები N1 **დანართის** შესაბამისად.
2. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. წინამდებარე ბრძანება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე

ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაცია და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობები

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების შესაბამისად წარმოდგენილ სტუდენტურ საპროექტო განაცხადში უნდა აღიწეროს პროექტის ბიუჯეტი, რომელშიც აისახება პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების ჩამონათვალი, რაოდენობა, ფასი, ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა, თანადაფინანსება (არასაუნივერსიტეტო) და საერთო ჯამი.
2. ბიუჯეტი ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს პროექტის ამოცანებთან. პროექტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი წესები:
   ა) ბიუჯეტის ფორმა არის ცხრილის სახით (იხილეთ თანდართული ფორმა), საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ცხრილში სტრიქონების დამატება);
   ბ) ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებს/მომსახურეობის სფეროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს (ქვემოთ მოყვანილი სამუშაოები/მომსახურეობის სფეროები მხოლოდ მაგალითებია);
   გ) ბიუჯეტში არ უნდა შეიცავდეს სხვა პუნქტებს, რომლებიც არ არის აუცილებელი, არ არის არსებითი, ან შეუსაბამოა პროექტისთვის;
   დ) ბიუჯეტის პუნქტებზე საცალო ღირებულება უნდა მიეთითოს ლარებში (თუ დოლარში ხდება ანაზღაურება, უნდა მიეთითოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარებში).
3. სტუდენტთა **სამეცნიერო პროექტის** ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს, ხოლო **საგანმანათლებლო, კულტურული ან სპორტული მიმართულების სტუდენტური პროექტის ბიუჯეტი - 5000 ლარს.**
4. პროექტში, პროექტის ავტორის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება მთლიანი ბიუჯეტის **არაუმეტეს** 20 % - ით, რომელიც გაიცემა პროექტის დასრულების შემდგომ, სამეცნიერო პროექტის ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
5. პროექტის ფარგლებში საჭირო აღჭურვილობას, მათ შორის: კომპიუტერი (ლეპტოპი), პროექტორი ან/და სხვა სახის ტექნიკას, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თავის ბალანსზე არსებული საშუალებებით, პროექტით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელებისათვის დროებითი სარგებლობის პირობით.
6. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობა/ტექნიკასთან დაკავშირებით, თუკი უნივერსიტეტის არ აქვს საკუთრებაში/სარგებლობაში ან/და შეუძლებელია პროექტისათვის მისი გამოყენება, საპროექტო განაცხადში უნდა მიეთითოს ნივთის საფირმო დასახელება, მოდელის ნომერი ან/და სხვა ინფორმაცია (ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით), კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ღონისძიებების განხორციელებისათვის.

7. პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში, პროექტზე პასუხისმგებელმა პირმა ან/და წარმომადგენელმა უნივერსიტეტის მიერ გადაცემული შესაბამისი ტექნიკა უკან უნდა დააბრუნოს, თუ ქონების მიღება-ჩაბარების აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ბიუჯეტი

ხარჯების ჩამონათვალი	რაოდენობა	ფასი	სულ	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება	ჯამი
სტუდენტის შრომის ანაზღაურება			0			0
			0			
			0			
ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საჭირო საშუალებების შეძენისა და მომსახურების ხარჯები;			0			0
			0			
			0			
საველე სამუშაოებისა და ექსპედიციის ხარჯები			0			0
			0			
			0			
პროფესიული ლიტერატურის შეძენის ხარჯები			0			0
			0			
			0			
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და/ან კვლევითი ვიზიტისათვის საჭირო ხარჯები			0			0
			0			
			0			
კვლევისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯი			0			0
			0			
			0			
სხვა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია კვლევის განხორციელებასთან და შესაბამისი შედეგების პრეზენტაციასთან (მათ შორის დამხმარე პერსონალი ასეთის საჭიროების შემთხვევაში)			0			0
			0			

			0			
სულ, ლარი				0	0	0
ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა						
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი						

საგანმანათლებლო, კულტურული ან სპორტული მიმართულების სტუდენტური პროექტის ბიუჯეტი

N	ხარჯების ჩამონათვალი	რაოდენობა	ფასი	სულ	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება	ჯამი
1	შრომის ანაზღაურება			0			0
1.1				0			
1.2				0			
2	აღჭურვილობა			0			0
2.1				0			
2.2				0			
3	საქონელი და მომსახურება			0			0
3.1	ტრენერის/ექსპერტის შრომის ანაზღაურება			0			
3.2	სხვა მცირე ფასიანი საქონლისა და მომსახურების შეძენა			0			
4	საოპერაციო ხარჯები			0			0
4.1	საკომუნიკაცია ხარჯები			0			
4.2	საკანცელარიო ხარჯები			0			
5	სხვა საქონელი და მომსახურება			0			0
5.1	სარეკლამო ხარჯი			0			
5.2	ფურშეტი			0			
	სულ, ლარი				0	0	0
	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა						
	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი						